

კურდღლის მოშენების პრაქტიკული

ცნობარი



კი 20–დან 45 ლარამდეა. ბაჭიების გამოსაყვანი გალიები თითო 80 ლარად.



დაკავდნენ მიკრომეწარმეობის სექტორში კონკრეტული მიმართულების საქმიანობით.

წარმოდგენილი ცნობარი ითვალისწინებს დაინტერესებულ პირთათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას კურდღლის მოშენებისა და გამოზრდის შესახებ, მისცემს ფერმერს მინიმალურ ინფორმაციას, თუ რომელი ჯიშის კურდღლის ბაჭიები შეიძინოს, ასახავს დაავადებებთან ბრძოლის საშუალებებს, საკვების რაციონსა და სხვა.



სად შევიძინოთ ბოცვრები?

- ა) ქ. ქუთაისი – ბოცვრის საჯიშე მეურნეობა
 - ბ) გურია, ოზურგეთი სოფ. დვაბზუმი, – სტურუების ფერმერული მეურნეობა
 - გ) კუმისის ყოფილი მეურნეობა –ამჟამად იქ საქმიანობენ დანიელები, რომელთაც გამოჰყავთ დანიური ჯიშის კურდღლები.
- დედა ბოცვრის ფასი 80–დან 100 ლარამდე მერყეობს, მოზრდილი 2–3 თვის კურდღლის ფასი

სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო აფხაზეთის ა/რ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი

ზემოთაღნიშნული უწყებების სპეციალისტების მიერ შემუშავდა ცნობარი, რომელიც დაეხმარება მცირე ბიზნესში დასაქმებით დაინტერესებულ პირებს მინიმალური დანახარჯების გაწევით

ქ. თბილისი

2014 წ.

კურდღელი, ბოცვერი და მისი დანიშნულება

ხშირად ერთმანეთში ურევენ კურდღელსა და ბოცვერს. მიუხედავად მსგავსებისა, ეს ორი ცხოველი ერთმანეთისაგან განსხვავდება. კურდღელი საშუალო ზომის ცხოველია, მისი წონა საშუალოდ 4–5 კილოგრამია, სარეალიზაციოდ გამზადებული გოლიათი ბოცვერის წონა კი 7–12 კგ-მდე აღწევს. მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა დაახლოებით 7–10 წელიწადს აღწევს. მაკობს წელიწადში ორჯერ, ზოგჯერ ოთხჯერაც. კურდღელი ბადებს 2–3 თვალახელილ და ბალნით შემოსილ ბაჭიას, ხოლო ბოცვერი კი 7–10 უბეწვო და თვალდახუჭულ ბაჭიებს. განსხვავება იმაშია, რომ ბოცვერი სანაშენე, კურდღელი კი გარეული ცხოველია. საქართველოს პირობებში კურდღლის ისეთი ჯიშებიდან, როგორცაა გიგანტური, რუხი ბოცვერი– ჩვეულებრივი ბოცვერების გამრავლება ჯობია, იმიტომ რომ ჯერ ერთი, ის მეხორცული ჯიშისაა, ნამატი მეტი აქვთ, სხვა ცხოველებისაგან განსხვავებით ზომასა და წონაში სწრაფად იმატებს. ამავე დროს კურდღლის ხორცი ყველაზე დიეტურად ითვლება. ის ყველაზე უვნებელია და სასარგებლო, განსაკუთრებით კარგია კურდღლის ტვინი მხედველობისათვის, ასევე მისი გადამდნარი ქონი, რომელსაც იყენებენ ჭრილობების შესახორცებლად, აქრობს ანთებით პროცესებს. ყველაზე მთავარი თვისება არის ის, რომ ხორცი ლეიკოზის საწინააღმდეგო თვისებებით ხასიათდება. ბოცვერის შემენისას წინასწარ უნდა დაიგეგმოს, რისთვის გვინდა მისი მოშენება. თუ ვაპირებთ ბოცვერის ხორცად რეალიზებას, მაშინ ჯობია ბოცვერის გოლიათი ჯიშის გამოზრდა, თუ ცალობით გვინდა გავწიოთ რეალიზაცია, მაშინ უმჯობესია ვიყოლიოთ ჩვეულებრივი ბოცვერი. აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ კვებისას საჭიროა ორ კარადიანი გალიები. დედა შედის ბაჭიებთან, კვებავს მათ, მერე გამოდის მეორე გალიაში და თვითონ იკვებება. დედისაგან დამოუკიდებლად ბაჭიები ცალკე გაჰყავთ 17–18 დღის შემდეგ.

კურდღლის კვება

კურდღელი ღამის ცხოველია - იგი საჭმელად ღამე გამოდის და იწყებს საკვების მოპოვებას. კურდღლის ბაჭიების კვებაზე ბევრს წარმოდგენაც არა აქვს და ამიტომ სათანადო შედეგსაც ვერ ღებულობს. ისევე, როგორც ყველა სხვა სასოფლო-სამეურნეო ცხოველს, კურდღელსაც სჭირდება შესაბამისი კვების სწორი ულუფა და დაბალანსებული საკვები. სასურველია რომ ბოცვერებს მივცეთ ცილებით მდიდარი საკვები და მათი რაოდენობა იყოს 18% მდე.

აუცილებელი რაციონი: ქერი, იონჯა, ჯეჯილი, გამომშრალი ბალახი, ხის ტოტები და ქერქი, ნამძის მწვანე ტოტები, ცერცვი, სოია, სამყურა, სიმინდისა და მზესუმზირის ნორჩი ნაზარდი, მარწყვის ფოთლები.

დაავადება

დაავადების მხრიდან ბოცვერი იმუნურია. ჭიის საწინააღმდეგო აცრებს წელიწადში ერთხელ უკეთებენ დედა კურდღელს. ბოცვერებს თვეში ერთხელ სამი დღის განმავლობაში დაზღვევის მიზნით უკეთდებათ ანტიბიოტიკი. ბაჭიებს ახასიათებთ ისეთი დაავადებისაკენ მიდრეკილება, როგორცაა კოქციდიოზი, ფალარათი. ამ შემთხვევაში სიკვდილიანობა მაღალია, ამიტომაც ყველაზე მთავარია სწორი კვება და მოვლა.

არაგადამდები დაავადებები: კუჭ-ნაწლავის აირებით გაბერვა, მჟავე კატარი, ტუტე კატარი, მზის ან სითბური დარტყმა.

გადამდები დაავადებები: ინფექციური სტომატიტი, ინფექციური რინიტი, ბასტერილიუზი, ქეცი.

როგორ მოვუაროთ კურდღელს?

სასურველია, რომ დამწყებმა ფერმერმა თავისი საქმიანობა დაიწყოს 5-დან 10 ბოცვერის შემენით. ერთი მოზრდილი ბოცვერის შესამენი ფასი 80-100

ლარია, 10 ბოცვერი-1000 ლარი. ყოველ თვეში ათი ბოცვერი ფერმერს მისცემს 70-მდე ბაჭიას. წლის განმავლობაში

დედა ბოცვერის შენახვა 50–70 ლარამდე ჯდება. თითო ბაჭიის გამოსაკვებად თვეში ფერმერს დაეხარჯება 3,5 ლარი. 3-4 თვეში ეს ბაჭიები უკვე თვით მისცემენ ფერმერს ახალ ბაჭიებს.

ბაჭიას საცხოვრებელი გალია არ უნდა იყოს ძალიან პატარა. გალიაში უნდა იყოს ყუთი ქვიშით ტუალეტისთვის, საჭმლის და ძილის ადგილი. გალია დღეში ერთხელ უნდა გაიწმინდოს, ბაჭიების გაჩენის შემდეგ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეხება. თუ დედამ ადამიანის სუნს იგრძნო, ის მათ მიატოვებს ან შექამს. საკვები რაციონი შეიძლება ასე გადავანაწილოთ: დილით მივცეთ ავშანი და გამოვუცვალოთ წყალი, ავშანი ბაჭიას მადას აღუძრავს, სადილზე ვაძლევთ ბოსტნეულს, საღამოს კი სხვადასხვა ბალახეულს და ისევ ვუცვლით წყალს. დედა კურდღელს ვაძლევთ კაპუეტას, რომელიც ეხმარება მას რძის გამოყოფაში.

ხორცის რეალიზება

დასაკლავად უნდა გამოვიყენოთ მოკლე პერიოდი. სარეალიზაციო მიმართულების კურდღლებს კლავენ როცა ის მიაღწევს 3–3.5 თვემდე ასაკს. ამ დროს მისი წონა შეადგენს 3კგ-მდე, სუფთა ხორცის გამოსავლიანობა კი 1,8კგ-მდეა. კურდღლის ხორცის სარეალიზაციო ფასები დამოკიდებულია ბაზარზე და თანხა მერყეობს 12–დან 15 ლარამდე.

ბეწვისა და ტყავის რეალიზება

საქართველოში ბეწვისა და კურდღლის ტყავის გადამამუშავებელი ქარხანა არ არსებობს. ამიტომ როგორც ბიზნესზე ორიენტირება ამ კუთხით სარფიანი საქმე არ არის. დიდი რაოდენობით ტყავის დამზადების შემთხვევაში სავარაუდო საექსპორტო

რეალიზაცია შესაძლებელია თურქეთში იქნეს
მოძიებული. ფერმერმა იქაურ ფაბრიკაში
შესაძლებელია 2 \$ –ად ჩააბაროს ტყავი.